

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ომარ ირიშოვის ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

17.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ომარ ირიშოვი, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ტარიელ მამედოვი.

სხდომას ესწრებოდა- ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ბაიდარი, ქუთლიარი, დიდმულანლო, ლეჟ ბადინი, ხუტორ-ლეჟბადინის მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხომეადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ომარ ირიშოვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ომარ ირიშოვმა ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ბაიდარი, ქუთლიარი, დიდმულანლო, ლეჟბადინი, ხუტორ-ლეჟბადინის) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ქუთლიარის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ბაიდარში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და რეზერვუარის მოწყობა განხორციელდა, ასევე სკვერის რეაბილიტაცია. სოფელ დიდმულანლოში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია და საჯარო სკოლის სახურავის

რეაბილიტაცია განხორციელდა.სოფელი ლეჟბადინის შიდა გზების რეაბილიტაცია და ლეჟბადინში გარე განათების მოწყობა განხორციელდა.სოფელ ხუტორ-ლეჟბადინში გარე განათების მოწყობა განხორციელდა.

აზრი გამოთქვს:მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ბაიდარის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია მთელი ზონის პრობლემა-მდინარეს მიაქვს ნაპირი, სადაც გადის საქონლის გზა სამოვრისკენ ამიტომ ითხოვენ ნაპირსამაგრი სამუშაოს ჩატარებას, ასევე მოსახლეობამ მოითხოვა შიდა ქუჩების მოასფალტება ახალ უბანში წყლის გაყვანა 1500 მეტრი.

სოფელი დიდი მუღანლოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად სასმელი წყლისა და სარწყავი წყლის რეაბილიტაცია,ასევე შიდა გზების მოასფალტება და გარე განათების მოწყობის სამუშაოების დასრულება დაასახელა.

სოფელი ლეჟბადინის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად; სარწყავი და სასმელი წყლის რეაბილიტაცია,საბავშვო ბაღის მშენებლობა, შიდა გზების მოასფალტება, გარე განათების მოწყობა დაასახელა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქუთლიარის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ომარ ირიშოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.